ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 25 აგვისტოდან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge **განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:**

1. შეიცვალოს „საბანკო მომსახურების პირობების“ 15³ მუხლის მე-9, მე-13, მე-18 და მე-19 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „9. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკის მიერ სერტიფიკატის გამოსყიდვა წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა მის ვალდებულებას. ამასთან, ბანკი სარგებლობს გამოსყიდვის უპირატესი უფლებით. სერტიფიკატის ბანკის მიერ გამოსყიდვის შემთხვევაში ბანკი სერტიფიკატის მფლობელს სერტიფიკატის გამოსყიდვის სანაცვლოდ გადაუხდის სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საფასურს.“
- „13. კლიენტს უფლება აქვს სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების ვადაში გაასხვისოს სადეპოზიტო სერტიფიკატი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სადეპოზიტო სერტიფიკატი გამოყენებულია ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. სერტიფიკატის გასხვისება შესაძლებელია განხორციელდეს მესამე პირზე, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს და გახსნილი აქვს ანგარიშ(ებ)ი სს „პროკრედიტ ბანკში“.“
- „18. სერტიფიკატის გასხვისების შემდეგ ან/და გასხვისების ყოველ ჯერზე, სერტიფიკატის შემძენი იკავებს სერტიფიკატის წინა მფლობელის ადგილს და მასზე სრულად ვრცელდება წინამდებარე საბანკო მომსახურებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულების პირობები, ასევე განცხადებები და ყველა ის პირობა, რომელიც სერტიფიკატის სარგებლობას, ფლობასა და განკარგვას უკავშირდება.“
- „19. სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების განმავლობაში, სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით განახორციელოს სერტიფიკატის დაგირავება. ამასთან, თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და ბანკს წარმოეშობა უფლება, რომ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს სადეპოზიტო სერტიფიკატის საფუძველზე, აღნიშნული გარემოება შეფასდება, როგორც სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება/გამოსყიდვა და გამოიწვევს სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოსყიდვისათვის განსაზღვრულ შედეგებს. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, მის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვა განახორციელოს სადეპოზიტო სერტიფიკატიდან, მისი უაქცეპტო წესით განაღდების გზით, სერტიფიკატის მფლობელი პირის მიმდინარე ანგარიშზე თანხის გადატანის გარეშე. სერტიფიკატის ნაწილობრივ დაგირავება დაუშვებელია. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, სადეპოზიტო სერტიფიკატის მესამე პირზე გასხვისება დაუშვებელია.“